



GEORGIAN FOUNDATION FOR  
STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

ისლამური სასულიერო პროვოკაცია და საქართველოს  
მოქალაქეთა გადაზიდვის მეთოდები

გიორგი გოგუაძე

87

ეკსპერტის აზრი





საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი  
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

## **ექსპერტის აზრი**

**გიორგი გომუაძე**

**ისლამური სახალიფოს პროპაგანდა და საქართველოს  
მოქალაქეთა გადაბირების მეთოდები**

**87**

**2017**



პუბლიკაცია დაიბეჭდა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და შეიძლება არ ასახავდეს საელჩოს თვალსაზრისს.

ტექნიკური რედაქტორი: არტემ მელიქ-ნუბაროვი

საავტორო უფლებები დაცულია და ეკუთვნის საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდს. წერილობითი ნებართვის გარეშე პუბლიკაციის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება გადაიბეჭდოს არანაირი, მათ შორის ელექტრონული ან მექანიკური, ფორმით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები და დასკვნები ეკუთვნის ავტორს/ებს და შეიძლება არ ასახავდეს საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის თვალსაზრისს.

© საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი 2017 წელი

ISSN 1512-4835

ISBN

## შესავალი

ისლამური სახალიფო (ISIS) თანამედროვე ეტაპზე ყველაზე ცნობილ და მასშტაბურ ტერორისტულ ორგანიზაციად შეგვიძლია მივიჩნიოთ. 2014 წლის ივნისიდან ის ოფიციალურად წარმოადგენს თანამედროვე სამყაროსთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან და კომპლექსურ საფრთხეს. ორგანიზაციის სიძლიერე და ცნობადობა დიდწილად განსაზღვრა ჯგუფის წევრთა გადაბირებისა და რადიკალიზაციის თვისებრივად ახალმა მეთოდოლოგიამ, იმ გამართულმა პროპაგანდისტულმა მანქანამ, რომლის მეშვეობითაც იერარქიულად სტრუქტურირებულმა ორგანიზაციამ შეძლო მსოფლიოს თითქმის ყველა წერტილში გაეჩინა თანამოაზრენი და მხარდამჭერნი. მიუხედავად იმისა, რომ ორგანიზაცია თანამედროვე ეტაპზე კრიზისულ მდგომარეობაშია და კარგავს გავლენას სირიასა და ერაყში, ის მაინც რჩება განვითარებული ცივილიზაციისთვის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად.<sup>1</sup>

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ ტერორიზმის შესახებ გამოქვეყნებულ ანგარიშებში აღნიშნულია, რომ ისლამურმა სახალიფომ დროის სხვადასხვა ეტაპზე საკუთარი რიგების საერთაშორისო მებრძოლებით შევსება მოახერხა. მსოფლიოს 100 ქვეყნიდან ათასობით ადამიანი შეურთდა ორგანიზაციას, ამ მებრძოლების დიდი წილი ევროპისა და აფრიკის ქვეყნებზე მოდის.<sup>2</sup>

სახალიფოს რიგებში საქართველოს მოქალაქეებიც მოხვდნენ. ზუსტი მონაცემები არ არსებობს, თუმცა სხვადასხვა სტატისტიკის მიხედვით, მათი რიცხვი 100-200-მდე აღწევს. საქართველოს 26 მოქალაქე უკვე დაიღუპა სირიასა და ერაყში, მათ შორის აშშ-ის მიერ 2014 წელს 12 ყველაზე საშიშ და ძებნილ ტერორისტთა სიაში შეყვანილი თარხან ბათირაშვილი (ომარ ალ-შიმანი), რომელიც ISIS-ის ერთ-ერთი საველე მეთაური იყო.<sup>3</sup>

2014 წლამდე ტერორიზმთან ბრძოლა საქართველოში აღიქმებოდა, როგორც ამერიკის შეერთებული შტატებისა და დასავლეთის ომი, სადაც საქართველოს, რა თქმა უნდა, ჰქონდა და აქვს საკუთარი, როგორც ძლიერი მოკავშირის, როლი. მიუხედავად ამისა, უშუალოდ ტერორიზმის საფრთხის წინაშე საქართველო არასოდეს დამდგარა, თუ არ ჩავთვლით, ოკუპირებული ტერიტორიებიდან მომდინარე ტერორისტულ საფრთხეებს.

2015 წლის 23 ნოემბერს გავრცელებული ვიდეო, რომელშიც საქართველოდან სირიაში ჩასული 4 ახალგაზრდა მიმართავს საქართველოს მოსახლეობას და სისხლისღვრით, ქაფირებისთვის „თაგების მოჭრით“ და ჯიჰადით იმუქრება, საკმაოდ რთული სანახავი და აღსაქმელი იყო.<sup>4</sup> ეს იყო პირველი ასეთი ტიპის ღია მუქარა, რომელსაც აუცილებლად უნდა შეემოფოთებინა შესაბამისი უწყებები და ზოგადად მოსახლეობა. მიუხედავად იმისა, რომ, ჩვენი ვარაუდით, საქართველოს ტერორიზმის ძალიან დიდი საფრთხე არ ემუქრება, არსებობს ალბათობა, რომ ხელსაყრელი პირობების შექმნის და სამართალდამცავების მხრიდან უყურადღებობის შემთხვევაში, შესაძლებელია საქართველოს ტერიტორიაზე გარკვეული ტერორისტული აქტები მოხდეს. ამის შესაძლებლობას ისიც ზრდის, რომ საქართველოს ტერორისტების წინააღმდეგ ქვეყნის შიგნით ბრძოლის, განსაკუთრებით კი, მასობრივი თავშეყრის ადგილების დაცვის დიდი გამოცდილება არ გააჩნია.

ჩვენი მიზანია წინამდებარე ნაშრომში წარმოვადგინოთ ანალიზი იმისა, თუ რა გზებითა და ფორმებით შეძლო ისლამურმა სახელმწიფომ საქართველოს მოქალაქეების რადიკალიზაცია და გადაბირება. ჩვენ ვუშვებთ, რომ საქართველოს მოქალაქეთა გადაბირებისა და რადიკალიზაციის პროცესში იდეოლოგიური, რელიგიური, სოციალური და ეკონომიკური ფაქტორების გარდა, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ISIS-ის ეფექტურად წარმოებულმა პროპაგანდამ.

ჩვენ ვეყრდნობით ინფორმაციას, რომელიც 2015 წლიდან დღემდე მივიღეთ პანკისის ხეობის მაცხოვრებლებისგან, ადგილობრივ არასამთავრობო თუ საჯარო უწყებებთან კომუნიკაციის გზით. 2015 წელს ჩავატარეთ კვლევა, რომლის ფარგლებშიც გვეკონდა პირისპირ ინტერვიუები საქართველოს უშიშროების საბჭოს, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის, საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უსაფრთხოების კომიტეტში კომპეტენტურ საჯარო მოხელეებთან. ასევე გაიმართა ორი ფოკუს-ჯგუფი ანმეტის მუნიციპალიტეტში, კერძოდ, პანკისის ხეობის სოფელ დუისში (ახალგაზრდებთან და უხუცესებთან).<sup>5</sup> 2017 წლის აპრილში ჩავატარეთ ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუები პირველ წყაროებთან პანკისის ხეობაში, იმ ადამიანების ოჯახების წევრებთან, ვინც დატოვა საქართველო და ჩაერთო ისლამური სახალიფოს რიგებში საბრძოლველად სირიასა თუ ერაყში. ინტერვიუერთა კონფიდენციალურობა დაცულია და

ყველა სახის მაიდენტიფიცირებელი ინფორმაცია ამოღებულია ნაშრომიდან.

ქვემოთ, დასკვნით ნაწილში, წარმოვადგენთ რეკომენდაციებს, რომლებიც შესაძლოა ფასეული აღმოჩნდეს რადიკალიზაციასა და ძალადობრივ ექსტრემიზმთან ბრძოლის პოლიტიკის დაგეგმვის პროცესში.

## **ისლამური სახალიფოს მიერ წარმოებული გლობალური პროპაგანდა**

2014 წლის 29 ივნისს, მას შემდეგ, რაც ერაყის სიდიდით მეორე ქალაქი მოსული დაეცა, მეჩეთში გამოსვლისას აბუ ბაქრ ალ-ბალდადიმ განაცხადა ისლამური სახალიფოს შესახებ და საკუთარი თავი მის ხალიფად გამოაცხადა. ამ დროიდან იწყება ისლამური სახალიფოს ერთგვარი „რენესანსი“.<sup>6</sup>

სახალიფოს ლიდერის მიერ თავიდანვე გადადგმულ ყველა ნაბიჯს სიმბოლური დატვირთვა და კარგად განსაზღვრული მიზანი ამოძრავებდა: 1) ვინ არის ხალიფა? – ხალიფა არის წინასწარმეტყველ მუჰამედის წარმომადგენელი, ყველა მუსულმანის სულიერი ლიდერი, საღვთო კანონების დამცველი და აღმსრულებელი დედამიწაზე. ამგვარად საერთაშორისო მხარდაჭერთა თუ მოწინააღმდეგეთა თვალში ალ-ბალდადიმ სცადა საკუთარი თავისა და აქტივობების ლეგიტიმურობისათვის გაესვა ხაზი; 2) ის სახელი, რომელიც მან დაირქვა ისლამურ სამყაროში, უდიდესი მნიშვნელობის მატარებელია, აბუ ბაქრი იყო პირველი ხალიფა 632-634 წლებში, მუჰამედის ნათესავი და პირველი მრჩეველი. სუნიტური ტრადიციის მიხედვით, პირველი ოთხი ხალიფა, რომლებიც იდეალური მუსლიმი მბრძანებლის სიმბოლოებად ითვლებიან, მუჰამედის ახლო თანამებრძოლნი იყვნენ და ძალაუფლება მემკვიდრეობით არ მიუღიათ.<sup>7</sup> რაც შეეხება ბალდადს, ქალაქს, როგორც კულტურულ ცენტრს, დიდი მნიშვნელობა აქვს ისლამურ სივრცეში, მაგრამ, გარდა ამისა, ერაყის დედაქალაქი ასევე იყო არაბთა სახალიფოს დედაქალაქიც. ამგვარად, აბუ ბაქრ ალ-ბალდადიმ (იგივე იბრაჰიმ ალ-ბადრი) საკუთარი თავის პოზიციონირება გლობალურ დონეზე დაიწყო სიმბოლური დატვირთვით, რომ ის არის მუჰამედის ნათესავი, ხალიფა და ბალდადისთვის სამართლიანად მებრძოლი; 3) ალ-ბალდადიმ თავიდანვე აირჩია ჩრდილში ყოფნის სტრატეგია, ამ მხრივ მან უფრო მეტი ადამიანის მხარდაჭერის მოპოვება შეძლო,

ვიდრე ლიდერებმა, რომლებიც ყოველკვირეულ და ყოველთვიურ ხანგრძლივ ვიდეომიმართვებს ავრცელებდნენ (მაგ., აიამან ალ ზავაჰირი და ოსამა ბინ ლადენი). ალ-ბაღდადიმ ზედმეტი სახელიც<sup>8</sup> მიიღო – „უხილავი შეიხი“, გარკვეული ტიპის გაღმერთების სიმბოლიკა, რომელიც ჯგუფის წევრებში მორჩილებასა და აღფრთოვანებას იწვევს.<sup>9</sup>

ისლამურმა სახალიფომ მოახერხა კომპლექსური, მრავალმხრივი და მასშტაბური პროპაგანდის შემუშავება სირიისა და ერაყის გარედან მხარდამჭერთა მოზიდვის მიზნით. როგორც როსი და მორენგერი აღნიშნავენ, ორგანიზაციის პროპაგანდას ოთხი ძირითადი მახასიათებელი და გზავნილი აქვს: 1) ისლამურმა სახალიფომ მოახერხა ხალიფატის აღდგენა, რომელიც „ეფექტურად ფუნქციონირებს“ და ეფუძნება შარიათის კანონებს და ერთადერთი ისლამური სახელმწიფოა დედამიწაზე; 2) თეოლოგიურად, ლეგალურად და პოლიტიკურად ის აღემატება ყველა სხვა სახელმწიფოსა და ისლამისტურ ჯგუფს რეგიონში; 3) ის მუდამ ძლიერდება ეკონომიკურად, სოციალურად, იდეურად, ტერიტორიულად და არავის შეუძლია მისი შეჩერება; 4) მისი საქმიანობა მორალური და გამართლებულია, ემსახურება დასავლეთისა და შიიტების მიერ სუნიტების ჩაგვრისგან განთავისუფლების საქმეს.<sup>10</sup>

სახალიფოს კომუნიკაციის სტრატეგიას რამდენიმე სამიზნე ჯგუფი ჰყავს: 1) ჯგუფის უშუალო წევრები; 2) პოტენციური წევრები; 3) მოწინააღმდეგე, კონკრეტულად კი, დასავლეთი. თითოეულ სამიზნე ჯგუფთან ორგანიზაციას განსხვავებული გზავნილები და მეთოდოლოგიური მიდგომა აქვს. კვლევის ფარგლებში ჩვენთვის საინტერესოა მეორე ჯგუფი, თუმცა მოკლედ მიმოვიხილავთ პირველსაც და მესამესაც.

ჯგუფის წევრთა მოტივაციისა და ბრძოლისუნარიანობის გაზრდის მიზნით, სხვადასხვა საკომუნიკაციო არხის გამოყენებით (ძირითადად სოციალური მედიის) ისლამური სახალიფო საკუთარი იმპერატიულობისა და სხვებზე უპირატესობის შესახებ არწმუნებს ჯგუფის წევრებს. პროპაგანდისა და გზავნილების დამუშავების პროცესში ასევე მნიშვნელოვან როლს ასრულებს ჯიჰადში ბრძოლის ფაქტორიც (სამოთხეში მოხვედრის გარანტია, 64 ნათესავის სამოთხეში წაყვანის შესაძლებლობა და ა.შ.). მეორე მხრივ, ჯიჰადში ორგანიზაციის მიტოვება და ფიცის გატეხვა ადამიანს სიცოცხლის ფასადაც დაუჯდება. საკუთარი წევრებისადმი ისლამური სახალიფო

იყენებს „მათრახისა და თაფლაკვერის“ პრინციპს. მონინაალმდეგის ნინაშე ისლამური სახალიფო პოზიციონირებს, როგორც გამარჯვებული მხარე, როგორც ფიზიკურად და მატერიალურად, ასევე მორალურადაც.<sup>11</sup>

პროპაგანდის მთავარ მიზანს საერთაშორისო მხარდამჭერთა გადაბირება და საკუთარი რიგების შევსება წარმოადგენს. სტრატეგიული მიზნებიდან გამომდინარე, უცხოელთა გადაბირება ორგანიზაციას შემდეგ სარგებელს აძლევს: 1) პირველ რიგში, 2014-2015 წლებისთვის ისლამური სახალიფოს მეზობლთა შემადგენლობის დაახლოებით 30 პროცენტს უცხოელები შეადგენენ, შესაბამისად, წმინდა ოპერაციული კუთხითაც აქტიურობა და მუშაობა ამ სამიზნე ჯგუფზე ორგანიზაციის გადარჩენისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია; 2) უცხოელთა გადაბირება ორგანიზაციას აძლევს მორალურ უპირატესობასა და საკუთარი საქმიანობის ლეგიტიმაციის განმტკიცების საშუალებას. ევროპული ქვეყნებიდან კომფორტულ საცხოვრებელს ადამიანი ტოვებს და ნახევრად უდაბნოში უცხო ხალხთან ერთად იწყებს საკუთარი ქვეყნისა და სოციუმის წინააღმდეგ ბრძოლას. რა თქმა უნდა, ამ ყოველივეს დიდი ფსიქოლოგიური და ბრძოლის დროს ტაქტიკური ეფექტი აქვს; 3) მას შემდეგ, რაც უცხოელთა ნაწილი სამშობლოში დაბრუნდება, ისლამურ სახალიფოს ექნება საშუალება ადგილზე მიიტანოს იერიში და ომი უფრო მეტად გლობალური გახადოს ე.წ მიძინებული ტერორისტების საშუალებით.<sup>12</sup>

უცხოელთა მოსახიბლად ტერორისტული ორგანიზაცია იყენებს რამდენიმე ძირითად გზავნილს:

**1. უტოპიური, იდეალური ისლამური სახელმწიფოს არსებობა.** 2017 წლის აპრილსა და მაისში ჩავატარეთ სიღრმისეული ინტერვიუები პანკისის ხეობაში, იმ ადამიანების მშობლებთან, ვინც წავიდა სირიასა და ერაყში. ინტერვიუები ჩატარდა თეზისის *საქართველოს მოქალაქეთა რადიკალიზაციისა და რეკრუტირების ფარგლებში*, რომელსაც დასრულებული სახით ა.წ. ივლისში წარმოვადგენთ. სიღრმისეულმა ინტერვიუებმა აჩვენა, რომ იდეალურ ისლამურ სახელმწიფოში ცხოვრების სურვილი და საკუთარი წვლილის შეტანა ჩვენი მოქალაქეებისთვისაც ერთ-ერთ ფუნდამენტურ საკითხს წარმოადგენდა. წინასწარმეტყველ მუჰამედის სწავლებასა და შარიათის კანონებზე აგებული საზოგადოებრივი ცხოვრების იდეა, სადაც ყველაფერი ჰარმონიულია, ისლამური სახალიფოს პროპაგანდის მთავარი ნაწილია. იმისათვის,



რომ ორგანიზაციის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე სამოთხისეული ცხოვრების ილუზია გაჩენილიყო, ისლამურმა სახალიფომ უამრავი რესურსი დახარჯა. სოციალურ მედიაში გავრცელდა ძალიან ბევრი ვიდეომასალა, მაღალი ხარისხისა და ეფექტებით, სადაც ნაჩვენები იყო, თუ რა შედეგიანად მუშაობდნენ საჯარო დანებსებულებები, თუ რა უხვი რაოდენობით იყო სახალიფოში საქმელი და როგორ ვითარდებოდა ეკონომიკა. ვიდეოებში აღწერდნენ ხალიფატს, როგორც მუსლიმთათვის ღვთიურ და ჰარმონიულ საცხოვრებელ სივრცეს.

## **2. ხალიფატში გაერთიანების რელიგიური ვალდებულება.**

ერთ-ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ მისი შვილის რადიკალიზაციასა და გადაბირებაში უმთავრესი როლი რელიგიამ და ვაჰაბიტურმა მოძღვრებებმა შეასრულეს. პანკისის ხეობაში მცხოვრები ქისტები ძირითადად სუნიტური ისლამის მიმდევრები არიან. აქ 1990-იან წლებში ე.წ. ვაჰაბისტურმა მიმდინარეობამ იჩინა თავი, რომელიც დღეს, თამამად შეიძლება ითქვას, ძალებს იკრებს ხეობაში და რადიკალიზაციის, გამარტივებული რეკრუტირებისა და იდეოლოგიური განხეთქილების ერთ-ერთ მიზეზად შეიძლება ჩავთვალოთ. ვაჰაბიზმი შედარებით ახალი მიმართულებაა, რომელიც ტრადიციულ ისლამს (სუნიტებსა და შიიტებს) უპირისპირდება. იგი XVIII საუკუნის შუა წლებში საუდის არაბეთში აღმოცენდა. მისი დამაარსებელია მუჰამად იბნ აბდ ალ-ვაჰაბი, რომელიც თავის მოძღვრებასა და რელიგიურ პრაქტიკას „სუფთა ისლამს“ უწოდებდა და რწმენის ერთადერთ წყაროდ ყურანს მიიჩნევდა. ვაჰაბიზმი ილაშქრებს ტრადიციული ისლამის წინააღმდეგ, რომელიც ისეთ ელემენტებსაც შეიცავს, რაც ყურანში მოცემული არ არის. ვაჰაბიზმი ასევე ქადაგებს მსოფლიოს ისლამიზაციის იდეას, რაც მისმა მიმდევრებმა აიტაცეს და მეზობელ ქვეყნებში დანერგეს. ვაჰაბისტთა ცნობიერებაში წამყვანი ადგილი უჭირავს ჯიჰადს. ვაჰაბიტები ქმნიან თანამოაზრეთა თემებს – ჯამაათებს, რომლებსაც ცხოვრების მკაცრი რეგლამენტი აქვთ. ჯამაათი უპირისპირდება იმ ისლამურ საზოგადოებას, რომელიც საერო კულტურაზე, ზოგად განათლებაზე, ხელოვნებაზე, სპორტზე უარს არ ამბობს. ჯამაათის წევრებს რჯულის ტოტალური მორჩილება და საბრძოლო მზადყოფნა ევალდებათ.<sup>13</sup> ისლამური სახალიფოს სპიკერმა 2014 წელს განაცხადა, რომ ხალიფატის გამოცხადებისთანავე ყველა ჭეშმარიტი მუსლიმი ვალდებულია

ერთგულება შეჭვიცოს ხალიფასა და ხალიფატის იდეას. გარდა ამისა, ორგანიზაციამ 2015 წელს მოამზადა რამდენიმე ვიდეომასალა, სადაც სპიკერი განმარტავს, თუ რა დიდი ცოდვაა ჰიჯრის (ჯიჰადისკენ მიმავალი გზის) მიტოვება და მაგალითად მოჰყავს ორი სმენდაქვეითებული უცხოელი მებრძოლი, იმ პათოსით, რომ თუკი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანები მოდიან საღვთო ომში მონაწილეობისთვის, მაშინ სრულიად ჯანმრთელს პასიურობა და განზე დგომა არ ეპატიება.<sup>14</sup>

**3. ჯიჰადური თავგადასავალი და სულისკვეთება.** უცხოელ მებრძოლთა უმრავლესობა (საქართველოს შემთხვევაშიც) ახალგაზრდები არიან. მათი საშუალო ასაკი 20-30 წელია. ამგვარად, ამ ადამიანთა გადაბირებისა და რადიკალიზაციის პროცესში მნიშვნელოვანია მათთვის რელიგიური, უტოპიური და იდეალური სამყაროს გარდა იყოს თავგადასავლისა და საერთო სულისკვეთების გაჩენის ელემენტებიც. ამ მხრივ, ისლამური სახალიფოს პროპაგანდა ნამდვილად აკმაყოფილებს პოტენციური ტერორისტების მოთხოვნილებებს. ვიდეოთამაშებიდან დაწყებული, სულისკვეთებისა და მოტივაციის ასამაღლებელი სიმღერებით დამთავრებული, ორგანიზაცია ყველანაირად ცდილობს ახალგაზრდების ფანტაზიების რეალურ ცხოვრებაში გადმოტანას. ერთ-ერთ პროპაგანდისტულ ვიდეოში, რომელიც Youtube-ზე გავრცელდა და 100,000-ზე მეტმა ადამიანმაც ნახა, აღწერილია, თუ როგორ ისვენებენ ბრძოლის შემდეგ უცხოელი და ადგილობრივი ჯიჰადისტები აუზში და როგორი კარგია საძმოში ყოფნა. სურვილი, ეკუთვნოდე ამ ჯგუფს, ასევე ერთ-ერთ მოტივად შეიძლება განვსაზღვროთ ადამიანის რადიკალიზაციის პროცესში.<sup>15</sup>

გზები, რომლითაც ისლამური სახალიფო საკუთარ გზავნილებსა და პროპაგანდისტულ მასალებს სამიზნე აუდიტორიას აწვდის, მრავალფეროვანი და დიფერენცირებულია. მთელი მაისის განმავლობაში ვაკირდებოდით Telegram-ის (ტელეგრამი) ჯგუფებს, რომლის მეშვეობითაც ორგანიზაცია საკუთარი საქმიანობის შესახებ ყოველდღიურად რამდენიმე ინფორმაციას უზიარებს ჯგუფის წევრებს. ჯგუფში მოხვედრა შეეძლოთ ჩვენი ორგანიზაციის ტერორიზმის კვლევისა და ანალიზის კონსორციუმის (TRAC) დახმარებით. ტელეგრამის გარდა, კომუნიკაციის მიზნით იყენებენ Whatsup-ის აპლიკაციას, ხოლო ევროპასა და სხვადასხვა რეგიონში

– ბევრისთვის უცნობ **Pidgin**-პროგრამასაც, რომელიც მაღალი დაცულობისა და დაშიფრული ტექსტით მიმონერის საშუალებას იძლევა.

### **საქართველოს მოქალაქეთა რადიკალიზაცია და რეკრუტირება**

2011 წლიდან დღემდე, სხვადასხვა წყაროს მიხედვით, ისლამური სახალიფოს რიგები 27,000-მდე უცხოელმა მებრძოლმა გაირა. ამ მხრივ, ISIS-ი ნამდვილად არის „ჩემპიონი“ ყველა სხვა ტერორისტულ ორგანიზაციასთან შედარებით. აღნიშნული რიცხვი ავღანეთის ომის დროს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მებრძოლ მუჯაჰედთა რაოდენობასაც კი აღემატება.

ისლამური სახალიფოს რიგების შევსების თვალსაზრისით ლიდერობენ შემდეგი ქვეყნის მოქალაქეები: ტუნისი – დაახლოებით 6,000-მდე ადამიანი; საუდის არაბეთი – 2,500; რუსეთის ფედერაცია – მინიმუმ 3,500 მებრძოლი; თურქეთი – 2,100; იორდანია – 2,000. რაც შეეხება ევროპული ქვეყნების მოქალაქეთა ჩართულობას ისლამურ სახალიფოში, ამ მხრივ „ლიდერობს“ საფრანგეთი – 1,600-მდე მებრძოლით, დიდი ბრიტანეთი – 800 ადამიანი, გერმანია – 600, შვედეთი – 300, ბელგია – 500, დანია – 150, ბოსნია და ჰერცეგოვინა – 500.<sup>16</sup>

ISIS-ში მებრძოლ საქართველოს მოქალაქეთა ზუსტი სტატისტიკა არ არსებობს. ტერორიზმის შესახებ ამერიკის შეერთებული შტატების დეპარტამენტის მოხსენებაში აღნიშნულია, რომ პანკისის ხეობიდან და მაღალმთიანი აჭარაიდან წასული საქართველოს 50-100 მოქალაქე ისლამური სახალიფოს რიგებში იბრძვის. ამ სფეროს მკვლევრები საქართველოშიც დაახლოებით იმავე რაოდენობას ასახელებენ, საჯარო მოხელეებს კი ეს სტატისტიკა უფრო დაბალ ნიშნულამდე დაჰყავთ. საქართველოს 26 მოქალაქე უკვე დაიღუპა სირიასა და ერაყში, მათ შორის აშშ-ის მიერ 2014 წელს 12 ყველაზე საშიშ და ძებნილ ტერორისტთა სიაში შეყვანილი თარხან ბათირაშვილი (ომარ ალ-შიმანი), რომელიც ISIS-ის ერთ-ერთი საველე მეთაური იყო. სირია-ერაყის ტერიტორიაზე მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებისას საქართველოს 26 მოკლული მოქალაქიდან 22 პანკისელია. ხეობის რამდენიმე ათეული მკვიდრი კი, არაოფიციალური ინფორმაციით, დღესაც „ისლამური სახელმწიფოს“ დროშის ქვეშ იბრძვის. მებრძოლთა საშუალო ასაკი 25 წელია. ყველაზე ახალგაზრდა მსხვერპლი 18

წლის ბესიკ კუშტანაშვილი იყო, რომელიც 2014 წელს დაიღუპა, ხოლო ყველაზე ხნიერი – 39 წლის უმარ მარგოშვილი (დაიღუპა 2016 წლის ივნისში).<sup>17</sup>

რესპონდენტებთან საუბრის შედეგად საქართველოს მოქალაქეთა გადაბირებისა და რადიკალიზაციის პროცესში რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი გამოიკვეთა:

- ახალგაზრდათა უმრავლესობა ისლამური სახელმწიფოს შესახებ ინფორმაციას ინტერნეტის საშუალებით იღებდა. ორგანიზაციის მიერ ეფექტურად დაგეგმილმა კომუნიკაციამ და პროპაგანდამ საკუთარ მიზანს მიაღწია. ერთ-ერთი დაღუპულის დედა აღნიშნავდა, რომ მისი შვილი „ხშირად ატირებული უნახავს ტელეფონით ხელში, როდესაც უყურებდა, თუ როგორ იხოცებოდნენ ბავშვები და ქალები“ სირიასა და ერაყში. ტერორისტული ორგანიზაცია ხშირ შემთხვევაში იყენებს პროპაგანდის ირაციონალურობისა და რაციონალურობის სინთეზს, როდესაც ის ინდივიდს (პოტენციურ თანამებრძოლს) ემოციური პათოსით მიმართავს და თან გზავნილში მიზნუ-შედეგობრივ კავშირებს, ფაქტებს, მოტივებსა და ამოცანებს აუღერებს, რაც მიმღებს გზავნილის რაციონალურობის ასპექტებშიც არწმუნებს. ეს უკანასკნელი საქართველოს მოქალაქეების შემთხვევაში გაჯერებული იყო მოსაზრებით, რომ ყველაფერი, რაც სირიასა და ერაყში დღეს ხდება, არის დასავლეთის, მათი მხარდამჭერებისა და ისლამის მტრების ნამოქმედარი. შესაბამისად, ჭეშმარიტი მუსლიმის ვალია ამ ბრძოლაში „ჭეშმარიტების“ მხარეს ჩაერთოს. ISIS-ის წარმომადგენლები აქტიურად იყენებდნენ ვებრესურსებსაც. შექმნილი იყო ხალიფატის ქართულენოვანი საინფორმაციო ვებგვერდი ([www.xalifati.wordpress.com](http://www.xalifati.wordpress.com)), რომელიც შეიცავდა ძალადობრივ მიმართვებს, ასევე სიახლეებს, ფოტო და ვიდეო მასალას. აღსანიშნავია, რომ ეს ვებგვერდი საკმაოდ დიდი ხანი არსებობდა, სანამ საქართველოს უსაფრთხოების სამსახურები დაბლოკავდნენ. 2015 წლის 14 ივნისს სუს-მა უცხო ქვეყნის ტერორისტულ ორგანიზაციაში გაერთიანებისა და ტერორისტულ საქმიანობაში დახმარების ბრალდებით დააკავა გიორგი კუპრავა, რომელიც განსაკუთრებით აქტიური იყო სხვადასხვა სოციალურ ჯგუფსა თუ ვებგვერდზე, რომელთა მიზანიც ძირითადად ხალიფატის შექმნის პროპაგანდასა და პოპულარიზაციას წარმოადგენდა.<sup>18</sup>

- საქართველოდან სირიამდე გზის გავლას ჩვენი მოქალაქეები შუამავლების დახმარებით ახერხებდნენ. პირველი საკონტაქტო პირი საქართველოშივე იყო, ხოლო მეორე – ძირითადად თურქეთში. ერთ-ერთი რესპონდენტი თავად წავიდა სირიაში შვილის ჩამოსაყვანად (უშედეგოდ) და გაიარა ყველა ის „გამშვები პუნქტი“, რომელსაც ისლამური სახელმწიფოსკენ მივყავართ. აიუფ ბორჩაშვილი ერთ-ერთი მათგანი იყო, ვინც ეხმარებოდა ახალგაზრდებს სირიასა და ერაყში წასვლაში. ის 2015 წლის 22 ნოემბერს დააკავეს სამართალდამცავმა ორგანოებმა.<sup>19</sup> რესპონდენტთა უმრავლესობამ აღნიშნა, რომ მათ შვილებს არ ჰქონდათ საკმარისი თანხა, რომ თურქეთში საკუთარი სახსრებით ჩასულიყვნენ და მათ საჭირო რესურსების საქართველოშივე მიიღეს. თურქეთში ჩასვლის შემდეგ საკონტაქტო პირები მებრძოლებს ქალაქ გაზიანტეპში ან სურუჩში უყრიდნენ თავს და სირიის საზღვრამდე აცილებდნენ, ხოლო საზღვრის მეორე მხარეს მათზე პასუხისმგებლობას ისლამური სახალიფოს წარმომადგენლები იღებდნენ.

სირიასა და ერაყში მოხვედრა მსურველთათვის ნამდვილად არ არის დიდი სირთულე. ისლამურ სახალიფოში მოხვედრის მსურველები ხშირად მიმართავენ ინტერნეტფორუმებს იმ მიზნით, რომ დაუკავშირდნენ საჭირო პირებსა და გაიგონ ორგანიზაციაში მოხვედრის გზები. უნდა გავითვალისწინოთ, რომ პოტენციური მებრძოლები ისლამურ სახალიფოში მოსახვედრად იყენებენ იმ მეთოდებსა და პროგრამებს, რომლებიც ხშირ შემთხვევაში არ არის ცნობილი ფართო საზოგადოებისთვის. მაგალითად, ვებგვერდს ASK.Fm-ს, სადაც უამრავი კითხვა ისმებოდა, თუ როგორ შეიძლება ორგანიზაციაში მოხვედრა, ვის უნდა დაუკავშირდეს მსურველი და ა.შ.<sup>20</sup>

- დაბრუნებული მეომრების სამოქალაქო რესოციალიზაცია და ინტეგრაცია რთული პროცესია, განსაკუთრებით ისეთ კომპაქტურ თემებში, როგორშიც საქართველოს მუსლიმები ცხოვრობენ. ევროპის დიდი სახელმწიფოებისგან განსხვავებით, საიდანაც ასობით და ათასობით რეკრუტი მიემგზავრება სირიაში, საქართველოს შემთხვევა სპეციფიკურია მუსულმანური თემის სიმცირის და შეკრულობის გამო. პანკისის ხეობაში, მაგალითად, გეოგრაფიულად მჭიდროდ დასახლებული სოფლების მოსახლეობა, შეიძლება ითქვას, რომ ძალიან კარგად იცნობს ერთმანეთს და ერთ თემად არის ჩამოყალიბებული.

აქედან გამომდინარე, პანკისის ხეობის ახალგაზრდებმა, იშვიათი გამოწვევების გარდა, კარგად იციან სირიაში გამგზავრებული თითოეული თანატოლის შესახებ. საბრძოლველად წასული ახალგაზრდა, წარმატების მიღწევის შემთხვევაში, მისაბაძი ხდება თავისი სამეგობრო წრისა და თანატოლებისათვის.

- კარგად შეფუთულმა იდეოლოგიამ დიდი როლი ითამაშა გადაბირებისა და რადიკალიზაციის პროცესში. ისლამური სახალიფოს იდეოლოგია ეფუძნება შემდეგ პოსტულატებს: 1) შარიათის კანონებზე დაფუძნებული სახელმწიფოს მშენებლობა; 2) ყველა ქრისტიანი მუსლიმის გაერთიანება; 3) ხალიფატის განმეორება ურწმუნოებისაგან; 4) დასავლეთისა და ისლამის მტრებისაგან განთავისუფლება.
- რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ მათ შვილებსა და იმ ხალხს, ვინც სირიასა და ერაყში წავიდა, ეკონომიკურად ისე არ უჭირდათ, რომ შემოსავლის წყაროდ ომი აერჩიათ. მათი თქმით, მათ ოჯახებს არანაირი ეკონომიკური სარგებელი არ უნახავთ. თუმცა პროპაგანდისტულმა გზავნილმა, რომ იქ მებრძოლები კარგად ცხოვრობენ (მითები, რომ თარხან ბათირაშვილი სასახლეში ცხოვრობდა თავის პირად დაცვასთან ერთად და ა.შ.), შესაძლოა, გავლენა იქონია საქართველოს მოქალაქეთა გადაწყვეტილებაზე. ეკონომიკური პირობების შეფასების კუთხით ხაზი უნდა გავუსვათ იმ ფაქტს, რომ არათუ ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობა არ აგროვებს სტატისტიკას იმის შესახებ, თუ რამდენი ადამიანია დასაქმებული, რა არის შემოსავლის საშუალო დონე და ძირითადი წყარო, არამედ ამ ტიპის ინფორმაცია საქართველოს ეროვნული სტატისტიკის სამსახურსაც კი არ გააჩნია. ამ უკანასკნელში ეს ფაქტი იმით ახსნეს, რომ ამ პარამეტრებით კვლევის ჩატარება ზედმეტ ხარჯებს უკავშირდება. ეკონომიკური გარემოს შეფასებისათვის ერთადერთ წყაროდ რჩება ადგილობრივი მოსახლეობა.

## **დასკვნა და რეკომენდაციები**

რადიკალიზაცია და ძალადობრივი ექსტრემიზმი თანამედროვე სამყაროს ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა. მიუხედავად იმისა, რომ არც ერთი ასაკობრივი, რელიგიური თუ ეთნიკურად მჭიდროდ დასახლებული საზოგადოება არ არის დაცული



ტერორისტული ორგანიზაციის მხრიდან გადაბირებისა და ადამიანთა ძალადობრივ ექსტრემიზმში ჩართვისგან, რადიკალიზაციისადმი განსაკუთრებულად მონყვლადები არიან ახალგაზრდები, რომელთა ემოციებსა და შეხედულებებზე ზემოქმედება შედარებით მარტივია.

ამრიგად, ახალგაზრდების დაცვა ძალადობრივი ექსტრემიზმისგან საზოგადოებისა და ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. ეს პროცესი მოითხოვს საკითხის სიღრმისეულ გაანალიზებასა და ეფექტური მექანიზმების შემუშავებას. ბოლო დროს ისლამურ სახალიფოში საქართველოს მოქალაქეთა გადინება შეწყდა, რაც ძირითადად განპირობებულია ისლამური სახალიფოს გავლენისა და სიძლიერის დაკარგვით რეგიონში მოსულის საბოლოოდ დაცემის შემდეგ – ისლამური სახალიფო ერაყში საბოლოოდ დაკარგავს ტერიტორიებს. მიუხედავად ამისა, ეს არ ნიშნავს, რომ საქართველოს მოქალაქეთა რადიკალიზაციისა და გადაბირების ფაქტის წინაშე ჩვენ კვლავ არ დავდგებით მომავალში.

იმისათვის, რომ სამომავლოდ პოტენციური საფრთხეები თავიდან ავირიდოთ, აუცილებელია:

- მონყვლად ჯგუფებში განათლების დონის ამაღლება. ინფორმირებულ ახალგაზრდაზე რთულია დამახინჯებულმა, რადიკალურმა და პროპაგანდისტულმა გზავნილებმა გავლენა მოახდინონ. ამ მხრივ აუცილებელია პანკისის რეგიონსა და მაღალმთიან აჭარაში გაძლიერდეს აქტივობები, როგორც ფორმალური, ასევე არაფორმალური განათლების კუთხით, მათ შორის ისლამისა და ყურანის სწორი ინტერპრეტაციის შესახებ. ასევე მნიშვნელოვანია სამოქალაქო და სახელმწიფოებრივი ინტეგრაციის გაზრდა და მათი თავისუფალი დროის ამ გზით შევსება.
- სამოქალაქო საზოგადოებას რადიკალიზაციასთან ბრძოლაში მთავარი როლი უჭირავს. ამ მხრივ საქართველოში არსებული ვითარება შორს არის იდეალურისგან. მხოლოდ რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია და ფონდი ცდილობს საკითხის შესწავლას, თუნდაც ზედაპირულ დონეზე. ამ მიმართულებით აუცილებელია ამაღლდეს კვალიფიკაცია და ცოდნა სამოქალაქო საზოგადოების შიგნით ისეთ საკითხებზე, როგორიცაა:
  - 1) ტერორიზმი, მისი გამომწვევი მიზეზები და ისტორია;
  - 2) რადიკალიზაცია, დერადიკალიზაცია, გადაბირებული

მოქალაქეების რეაბილიტაცია და ა.შ. ცოდნის ნაკლებობის შევსება შესაძლებელი იქნება ეფექტურად დაგეგმილი ტრენინგკურსებითა და შესაბამისი ლიტერატურის შექმნის გზით.

- რადიკალიზაციასა და ექსტრემიზმთან ბრძოლაში მთავარი აქტორი სახელმწიფოა. ამრიგად, აუცილებელია უწყებათშორისი სტრატეგიისა თუ სამუშაო დოკუმენტის მომზადება, სადაც ზოგადად ტერორიზმთან ბრძოლასა და დერადიკალიზაციასთან დაკავშირებით ჩამოყალიბებული იქნება ხედვა და სახელმწიფოებრივი მიდგომა და გათვალისწინებული იქნება საერთაშორისო პრაქტიკა და გამოცდილება.
- რადიკალიზაციასთან ბრძოლის პროცესში აუცილებელია შევქმნათ პოზიტიური გავლენის აგენტები – ახალგაზრდებისათვის მისაბაძი პირები. დღეისათვის, სამწუხაროდ, გავლენა აქვს ნეგატიურ აგენტს, კერძოდ, თარხან ბათირაშვილს (მიუხედავად იმისა, რომ გარდაცვლილია, მაინც რჩება რადიკალიზაციის ერთ-ერთ მუხტად). 2015 წელს ჩატარებული ფოკუსჯგუფის მონაწილეთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ თარხან ბათირაშვილი დაახასიათა, როგორც „გმირი“, „მებრძოლი“, „საუკეთესო მეგობარი“, „ძლიერი ადამიანი“, „მისაბაძი პიროვნება“ და ა.შ. ეს მცირე ჩამონათვალიც კი საკმარისია არსებული განწყობის შესაფასებლად. აღსანიშნავია, რომ ფოკუსჯგუფებში მონაწილე ახალგაზრდები არ იყვნენ დადებითად განწყობილი „ისლამური სახელმწიფოს“ მიმართ, თუმცა უდიდესი სიმპათია ჰქონდათ თარხან ბათირაშვილის მიმართ.



## შენიშვნები

1. Friedland, (2014, “the Islamic State (ISIS) Fact Sheet”, Clarion Project Research [www.goo.gl/1CZjQG](http://www.goo.gl/1CZjQG)
2. Bureau of Counterterrorism, Country Reports on Terrorism 2014, Released June 2015.: [www.state.gov/documents/organization/239631.pdf](http://www.state.gov/documents/organization/239631.pdf)
3. იქვე.
4. მიშა მეფარიშვილი, „ერთ-ერთი პირი, რომელიც საქართველოს ISIS-ის სახელით ემუქრება ხვინა გობაძე“, [netgazeti.ge](http://netgazeti.ge), 23 ნოემბერი, 2015. [www.netgazeti.ge/GE/105/News/52655/](http://www.netgazeti.ge/GE/105/News/52655/)
5. გიორგი გოგუაძე, დაეში და საქართველოს წინაშე არსებული გამოწვევები, 2015, საქართველოს რეფორმების ასოციაცია (GRASS) [www.grass.org.ge/wp-content/uploads/2015/11/daesh-da-skhva-gamotsvevebi.pdf](http://www.grass.org.ge/wp-content/uploads/2015/11/daesh-da-skhva-gamotsvevebi.pdf)
6. Yasmine Hafiz, 2014 What Is A Caliphate? ISIS Declaration Raises Questions, Huffingtonpost [www.huffingtonpost.com/2014/06/30/what-is-a-caliphate-meaning\\_n\\_5543538.html](http://www.huffingtonpost.com/2014/06/30/what-is-a-caliphate-meaning_n_5543538.html)
7. Cole Bunzel, 2015, From Paper State to Caliphate: The Ideology of the Islamic State, The Brookings Project on U.S. Relations with the Islamic World. [www.brookings.edu/wp-content/uploads/2016/06/The-ideology-of-the-Islamic-State.pdf](http://www.brookings.edu/wp-content/uploads/2016/06/The-ideology-of-the-Islamic-State.pdf)
8. Polly Mossendz, 2014, How The Head of ISIS Got His Name, Nesweek [www.newsweek.com/abu-bakr-al-baghdadi-abu-dua-invisible-sheikh-awwad-ibrahim-ali-al-badri-al-282939](http://www.newsweek.com/abu-bakr-al-baghdadi-abu-dua-invisible-sheikh-awwad-ibrahim-ali-al-badri-al-282939)
9. Bridget Moreng, 2016, The Islamic State’s Global Propaganda Strategy, The International Centre for Counter-Terrorism – The Hague (ICCT) [www.icct.nl/wp-content/uploads/2016/03/ICCT-Gartenstein-Ross-IS-Global-Propaganda-Strategy-March2016.pdf](http://www.icct.nl/wp-content/uploads/2016/03/ICCT-Gartenstein-Ross-IS-Global-Propaganda-Strategy-March2016.pdf)
10. Acun, 2014 , “Neo al Qaeda: the Islamic State of Iraq and the Sham (ISIS)” Foreign Policy Research Assistant; Ankara, No.10 : [www.goo.gl/DIsY2U](http://www.goo.gl/DIsY2U)
11. Kyle J. Greene, 2015, ISIS: Trends in Terrorist Media and Propaganda, International Studies Capstone [www.digitalcommons.cedarville.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1002&context=international\\_studies\\_capstones](http://www.digitalcommons.cedarville.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1002&context=international_studies_capstones)
12. Jim Sciutto, Jamie Crawford and Chelsea J. Carter, ISIS can ‘muster’ between 20,000 and 31,500 fighters, CIA says, CNN. September 12, 2014. see more at: [www.edition.cnn.com/2014/09/11/world/meast/isis-syria-iraq/](http://www.edition.cnn.com/2014/09/11/world/meast/isis-syria-iraq/)
13. საქართველოს სახალხო დამცველის ბიბლიოთეკა, რელიგიები საქართველოში, თბილისი, 2008. იხ.: [www.dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/8483/1/Religiebi\\_Saqartveloshi.pdf](http://www.dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/8483/1/Religiebi_Saqartveloshi.pdf)

14. Bridget Moreng, 2016, The Islamic State's Global Propaganda Strategy, The International Centre for Counter-Terrorism – The Hague (ICCT) p.24  
[www.icct.nl/wp-content/uploads/2016/03/ICCT-Gartenstein-Ross-IS-Global-Propaganda-Strategy-March2016.pdf](http://www.icct.nl/wp-content/uploads/2016/03/ICCT-Gartenstein-Ross-IS-Global-Propaganda-Strategy-March2016.pdf)
15. იქვე, გვ. 26
16. Ian Bremmer, 2017, The Top 5 Countries Where ISIS Gets Its Foreign Recruits, Time  
[www.time.com/4739488/isis-iraq-syria-tunisia-saudi-arabia-russia/](http://www.time.com/4739488/isis-iraq-syria-tunisia-saudi-arabia-russia/)
17. ზაზა წულაძე, 2016, 26-ე მსხვერპლი: სკოლიდან გაპარული ომალოელი ისლამისტი, ამერიკის სმა [www.amerikiskhma.com/a/georgian-islamist-militant-killed-in-al-raqqah/3635639.html](http://www.amerikiskhma.com/a/georgian-islamist-militant-killed-in-al-raqqah/3635639.html)
18. Ben Makuch, 2014, Ask.fm is the Perfect Place to Meet Jihadists in Syria  
[www.motherboard.vice.com/en\\_us/article/want-to-chat-with-a-western-jihadist-try-askfm](http://www.motherboard.vice.com/en_us/article/want-to-chat-with-a-western-jihadist-try-askfm)